ცვლილება კანონში

შინაარსი

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობებში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობასთან დაკავშირებული დაბეგვრა
- საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა

სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობებში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობასთან დაკავშირებული დაბეგვრა

2024 წლის 11 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი №4197-XIVმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული ცვლილებები შეეხო საშემოსავლოს/ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტებსა და გადასახადების განაკვეთებს, რაც გამომდინარეობს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან.

ცვლილების თანახმად, სსკ-ის მე-80 და 97-ე მუხლებს დაემატა შესაბამისად ახალი 7[1] და 9[3] ნაწილები, რომლის მიხედვით სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორი პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი ობიექტები განისაზღვრა. კერძოდ, ორგანიზატორი პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობას სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში, დაბეგვრას ექვემდებარება საშემოსავლო/მოგების გადასახადით უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და ამ მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.

ცვლილება ასევე შეეხო საშემოსავლო და მოგების გადასახადების განაკვეთების 81-ე და 98-ე მუხლებს. სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორის მიერ მიღებული ის შემოსავალი/მოგება, რომელიც მიღებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ განთავსებული ფსონებიდან, დაიბეგრება 5%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 15%-იანი განაკვეთისა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში დასაბეგრი პირისთვის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული თვე.

ცვლილების თანახმად ასევე განისაზღვრა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად მიღებული მოგება და სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 დეკემბრიდან.

ცვლილება ბრძანებაში

საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა

2024 წლის 1 ივლისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №14753, რომლითაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე.

ცვლილების შედეგად №13446 ბრძანებით დამტკიცებულ მეთოდურ მითითებას დაემატა ახალი 9¹ მუხლი, რომელიც ებმის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლის 37-ე ნაწილს (საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა). შეგახსენებთ, რომ 2024 წლის 5 ივნისიდან სსკ-ის გარდამავალი დებულებების 309-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწერას ექვემდებარება ფიზიკური პირის აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული საგადასახადო დავალიანება (გადასახადის თანხა და ჯარიმა) და მასზე დარიცხული საურავი. სწორედ ამ ჩანაწერის შესაბამისად შემუშავდა დავალიანების ჩამოწერის წესი.

ბრძანების ახალი მუხლით დეტალურად განისაზღვრა ის წესები და პირობები, რის მიხედვითაც ჩამოეწერება ფიზიკურ პირს 2021 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება. მაგალითისთვის, აღნიშნული ბრძანების ახალი 9¹ მუხლით განისაზღვრა შემდეგი:

- 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავალიანების ჩამოწერის საკითხის შესწავლას დაექვემდებარება ყველა ფიზიკური პირი (მათ შორის, მეწარმე ფიზიკური პირი), რომელსაც ერიცხება აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული, აღიარებული საგადასახადო დავალიანება, მასზე დარიცხული საურავით.
- გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ასახული ოპერაციები, გარდა 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების დროებითი ბარათიდან ძირითად ბარათზე გადატანის ოპერაციებისა, არ დაექვემდებარება ჩამოწერას.
- იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის 1 იანვრამდე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნ(ებ)ის საფუძველზე პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხების კორექტირება განხორციელდა 2021 წლის 1 იანვრის შემდგომ, კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნ(ებ)ის შედეგად განსაზღვრული საგადასახადო დავალიანება კვლავ განიხილება 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ დავალიანებად.
- ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება შესაძლებელია ჩამოიწეროს შემდეგ შემთხვევებში:
  - გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე
  - დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე
  - გადასახადის გადამხდელის მომართვის გარეშე პროგრამულად ან/და ინდივიდუალური შესწავლის გზით
  - და სხვა.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 25 ივნისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობებში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობასთან დაკავშირებულ დაბეგვრას, ასევე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის საკითხს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.